

საქართველოს ეროვნული მუზეუმი

ნოქალაქევის ერთობლივი ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური ექსპედიციის
2005 წლის საველე სამუშაოების

ა ნ გ ა რ ი შ ი

ნოქალაქევის საერთაშორისო ექსპედიციის ხელმძღვანელი
ისტ.მეცნ.კანდიდატი - დავით ლომიტაშვილი

ისტ.მეცნ.დოქტორი – ბესიკ ლორთქიფანიძე

ფონდის კურატორი – მერი ზამთარაძე

ისტ.მეცნ.კანდიდატი, უფრ.რესტავრატორი – ნინო ქებულაძე

ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი - თამილა კაპანაძე

სტაჟიორი – ნიკოლოზ მურღულია

პროექტის დირექტორი – იან კოლვინი

არქეოლოგი – ნიკ არმოური

სუპერვაიზერი – პოლ ევერილი

ოსტეოლოგი – ბენჯამინ ნილი

ს.ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმის, ნოქალაქევის ერთობლივმა ქართულ-ინგლისურმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ* 2005 წლის საველე სამუშაოები სენაკის რაიონის სოფ. ნოქალაქევიში 27 ივლისიდან 31 აგვისტომდე აწარმოა. საანგარიშო პერიოდი ერთობლივი ექსპედიციისათვის რიგით მეხუთე კამპანია გახლდათ. ძირითადი სამუშაოები ნოქალაქევის ნაქალაქარის ქვედა ტერასის ცენტრალურ და აღმოსავლეთ სექტორებში წარმართა. 2004 წლის არქეოლოგიური სამუშაოები ორ თხრილზე მიმდინარეობდა. შეენიშნავთ, რომ მათგან პირველი – თხრილი A მოწყობილი იყო ნაქალაქარის ქვედა ტერასაზე, ცენტრალური შემოსასვლელის (აღმოსავლეთის მხრიდან) ჩრდილოეთით შიდა ეზოს მხრიდან, გალავანზე ამავე კიბის მიმდებარე ტერიტორიაზე F-2 კვადრატში. მეორე–თხრილი B კი “ორმოცი მოწამეთას” სახელობის VI ს-ით დათარიღებული ტაძრის ჩრდილო-აღმოსავლეთ ტერიტორიას მოიცავებდა E -3; J -22,23 კვადრატებში.

* 2005 წლის ქართულ-ინგლისური ექსპედიცია 28 წევრისაგან შედგებოდა: დ.ლომიტაშვილი-ექსპედიციის ხელმძღვანელი, ბ.ლორთქიფანიძე, ნ.ქებულაძე, მ.ზამთარაძე, თ.კაპანაძე, ი.კოლვინი, პ.ევერილი, ბ.ნეილი, ა.სოარი, ნ.მურღულია, მ.ჭყელიშვილი, ნ.ჯამბურია, დ.გურგენიძე, გ.ლომიტაშვილი, გ.ამაშუკელი, ნ.გალოგრე, ნ.აგლაძე, დ.ნიკოლაიშვილი ა.დენისი, ქ.დონანი, ჯ.მორგანი, ქ.რასელი, ი.საიდი, ჯ.ტეილორი, ლ.თარნბალი, ლ.ქოგლეკი, დ.კენი, რ.ვერდილი, რ.დალთონი.

შეთანხმებისამებრ, ექსპედიციის დაფინანსება თავის თავზე აიღო ბრიტანულმა მხარემ. საანგარიშო პერიოდში ექსპედიციის მეორე მსხვილი დონორი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო იყო. ექსპედიციას დასახული გეგმების განხორციელებაში, როგორც ყოველთვის, წელსაც გვერდით ედგა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ქვემდებარე ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალის სრული შემადგენლობა (დირექტორი-ენ.კოკაია).

ამთავითვე გვინდა შევნიშნოთ, რომ გათხრების მეთოდიკიდან გამომდინარე (სამუშაოები ძირითადად პრეპარაციის პრინციპით მიმდინარეობს) სამუშაოების გაგრძელება აღნიშნულ თხრილებზე 2006 წლის სეზონზეც იგეგმება.

საანგარიშო პერიოდში ექსპედიციის სამუშაოების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა ადგილობრივი მუზეუმის ნაწილობრივი რეაბილიტაციის პროექტი, /დონორი ორგანიზაცია: საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, დიდი ბრიტანეთის მხარესთან თანადაფინანსებით/ რაც ამთავითვე გვინდა შევნიშნოთ, წარმატებით დასრულდა

თხრილი A. თხრილი ჩვენი გადაწყვეტილების საფუძველზე ხელახლა გაიხსნა 2005 წლის 27 ივლისს ნ. არმოურის ზედამხედველობით.

ჩვენი განზრახვა იყო რომ, შესაძლებელი ყოფილიყო ამ სეზონში მუშების მიერ შემთხვევით გამოვლენილი ფენების სწრაფი ჩაწერა/ჩახატვა და მათი დაკავშირება არსებული ჭრილების ნახაზებთან და გეგმებთან. ამ სეზონის განმავლობაში A თხრილის ძველი მონაკვეთი დაცული იყო პლასტიკური საფარით, რადგანაც ჩვენი მიზანია, რომ 2006 წელს დავიწყოთ A თხრილის მთლიანი ფართის ერთდროული გათხრა.

სანამ ჩვენ შეუდგებოდით თხრილზე მუშაობას, საჭირო იყო წინა 3 წლის მანძილზე დაგროვებული ნაყარი მიწის მოშორება. ნაყარი მიწის მოშორების შემდეგ, მოვზომეთ თხრილის ახალი ფართობი და დავაფიქსირეთ. ამის შემდეგ გამოვიყენეთ 12 ადგილობრივი მუშა, რომლებისგანაც ბევრი წინა წლებშიც მუშაობდა ჩვენთან. მათ დაიწყეს თხრილის ახალ მონაკვეთზე სიდრემში ჩასვლა 0,30მ-ზე. ამ ფენაში გამოვლენილი იქნა ცემენტისა და კირის შემცველი ნიადაგი, რაც საფორთიფიკაციო კედლის (გალავნის) ადრეული წლების რეკონსტრუქციის დროიდან შემორჩა. ამ ფენის ქვემოთ იყო დიდი ლოდებისა და ჩამონგრეული კედლის ნარჩენების შემცველი მუქი მიწა.

ბათქაშისა და ნატეხი ქვის ქვედა ფენაში არქეოლოგიური მასალის დიდი რაოდენობა გამოვლინდა. ნიადაგი არის მუქი და მდიდარი, რომელიც შეიცავს კერამიკის დიდ რაოდენობას, ასევე შინაური ცხოველების ძვლებს. ჩვენის აზრით ეს კონტექსტი წინა კონტექსტის (108) გაგრძელება იყო. ეს ფენაც შეიცავდა მცირე რაოდენობით საკმაოდ საინტერესო მონაპოვარს: ისრის, დანის და სატევრის პირებს, ბრინჯაოს ბალთას, თმის სამაგრს, მინის სასმისის სადგამს და სანელსაცხებლის ფრაგმენტებს.

(108) კონტექსტის ქვემოთ იყო (125)-ე კონტექსტი. თუმცა ჩვენ თავდაპირველად ვივარაუდეთ, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო მცირე ინტენსივობის ფენა, მაგრამ შემდგომმა გათხრებმა აჩვენა, რომ ორივე ეს კონტექსტი შეიცავდა დიდი რაოდენობით კერამიკის ფრაგმენტებს და ცხოველების ძვლებს. მცირე რაოდენობით შეიცავდა ლითონის ნაწარმს. ნაქალაქარზე, აღნიშნულ კონტექსტში იქნა გამოვლენილი ე.წ. “ხალიანი” მინის ფრაგმენტი. მდაგვარი მასალის გამოვლენა ნოქალაქევის ნაქალაქარზე ძალზე დიდ იშვიათობას წარმოადგენს. იმედია, რომ ამ მასალის გამოკვლევა შესაძლებელს გახდის კონტექსტის დათარიღებას. ასევე ამ ფენაში გამოვლინდა ბათქაშის ნაშთები, საინტერესო იქნება მათი შედარება წინარე კონტექსტში გამოვლენილ ბათქაშთან, რათა დადგინდეს გალავნის აშენების და შეკეთების თარიღები. თხრილის დასავლეთით გაგრძელებისას გამოვლენილ იქნა პატარა მრგვალი ქვების შემცველი მუქი ფერის ფენა. ეს ფენა შესაძლებელია (132)-ე კონტექსტის გაგრძელება იყოს, რომელიც ზუსტად (136)-ე კონტექსტის ზემოთ არის დაფენილი. ამ ფენაში ასევე გამოჩნდა წაკვეთილი სამარხი, რომელშიც დაფიქსირდა ტერფები და თავის ქალა. ზუსტად (136)-ე კონტექსტის ზემოთ გამოვლინდა (თხრილის ჩრდილოეთ გაგრძელებაზე) მწვანე ქვიშიანი კონტექსტი (158), რომელიც ამ წელს ბოლო გამოვლენილი კონტექსტია.

2005 წლის სეზონის ბოლო დღეები დაიხარჯა სამხრეთ და აღმოსავლეთ კიდეების ჭრილების ჩახაზვაზე. მის შემდეგ მოხდა A თხრილის ცელოფნით დახურვა და მასზე მიწის გაფანტვა. აღნიშნულ თხრილში, სადაც დღეისათვის ელინისტური ხანის ფენების დამუშავება მიმდინარეობს, გათხრები 2006 წელსაც გაგრძელდება.

A თხრილზე წარმოებული სამუშაოების ანგარიში

საანგარიშო წელს გავაგრძელეთ თხრილის დადაბლება. წინა წელს გამოკვეთილი იყო ორი სამარხის კონტურები. სამუშაოების დაწყებიდან სამი დღის შემდეგ, დავიწყეთ ამ სამარხების პრეპარაცია (კონტექსტი 160 და 163). პარალელურად ვაგრძელებდით სამუშაოებს თხრილის სხვა ნაწილებში. მოვიპოვეთ მასსობრივი არქეოლოგიური მასალა, რომელიც თარიღდება ადრეშუასაუკუნეებით. ძირითადად გვხვდება თიხის ნაწარმი (სამეურნეო და სამშენებლო კერამიკა, სუფრის ჭურჭლის ნატეხები, სარკმლის მინის ფრაგმენტები). ძალიან მნიშვნელოვანი იყო ბიზანტიური 40-ნუმიანი მონეტის გამოვლენა თხრილის დასავლეთ სექტორში. ზემონახსენები სამარხების სიახლოვეს (კონტექსტი 168) გამოვლინდა კიდევ ერთი სამარხი. საანგარიშო წელს მივედით ელინისტური ხანის ფენამდე (ადრეშუასაუკუნეების და ელინისტურ შრეებს შორის განსხვავება 25-30 სმ-ია). იმავე სექტორში, სადაც აღმოჩნდა მონეტა გამოვლინდა თიხის ცხვრის ქანდაკების თავი, რომელიც ელინისტური პერიოდით თარიღდება. ასევე აღმოჩნდა თავგამსხვილებული ბრინჯაოს სამაჯურის ფრაგმენტი, რომელიც ძვ. წ-ის III-II საუკუნეებით თარიღდება. სამუშაოების წარმოებაში ხელი შეგვიშალა ამინდმა: რამოდენიმე დღეს გადაუღებლად წვიმდა, რამაც გამოიწვია თხრილის დატბორვა. წყლის ამოტუმბვას (ამოღებული იქნა 30-35 ტონა წყალი) და შემდგომ გაშრობას

რამოდენიმე დღე დასჭირდა. ამიტომ ელინისტური ხანის ფენის საფუძვლიანად შესწავლა შემდგომი სეზონებისთვის გადაიდო.

სამარხი № (კონტექსტი 168). აღმოჩნდა თხრილის ცენტრალურ ნაწილში ჩრდილოეთ კედლიდან მ. და აღმოსავლეთის კედლიდან მ. დაშორებით. სამარხი გამოვლინდა მიწის ზედაპირიდან მ. სიღრმეზე. მიცვალებულის ჩონჩხი საკმაოდ კარგად იყო შემორჩენილი. იგი დაკრძალული იყო ზურგზე, პირდაპირ მიწაზე (ორმოსამარხი) გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. სახე აღმოსავლეთს უყურებს. უინვენტარო. ჩონჩხის სიგრძეა—1,40 სმ. სავარაუდოდ სამარხი ადრექრისტიანული დროით—IV-VI საუკუნეებით უნდა დავათარილოთ.

სამარხი № (კონტექსტი 160). აღმოჩნდა თხრილის ცენტრალურ ნაწილში ჩრდილოეთის კედლიდან მ. დაშორებით. სამარხი გამოვლინდა მიწის ზედაპირიდან მ. სიღრმეზე. მიცვალებული დაკრძალულია პირდაპირ მიწაზე გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. უინვენტარო. შემორჩენილი სიგრძე—1,55 სმ. სამარხი სავარაუდოდ – IV-VI საუკუნეებით უნდა დათარიღდეს.

სამარხი № (კონტექსტი 163). აღმოჩნდა თხრილის იმავე მონაკვეთზე, ჩრდილოეთის კედლიდან მ. და დაშორებით. სამარხი გამოვლინდა მიწის ზედაპირიდან მ-ის სიღრმეზე. მიცვალებული დაკრძალულია მიწაზე გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. ჩონჩხი კარგადაა შემონახული; სამარხის სიგრძეა 1,65 მ. ინვენტარის გარეშე. სამარხი სავარაუდოდ IV-VI საუკუნეებით თარიღდება.

B თხრილზე წარმოებული სამუშაოების ანგარიში

ამ უბანზე წელსაც გრძელდებოდა ე.წ. ”ეპიდემიური” სამაროვნის შესწავლა/თხრილი B, კვ. J-18,23/ პარალელურად ვიზრუნეთ თხრილის გაფართოებაზე ჩრდილოეთის მხრიდან. საბოლოოდ თხრილის პერიმეტრი სიგრძეში-20, ხოლო სიგანეში 7.80 სმ-ით განისაზღვრა. 28 ივლისს ნოქალაქევიში ჩასვლისას სამუშაო შეფერხებულ იქნა ცუდი ამინდის გამო, სწორედ ცუდი ამინდები გახდა 2005 წლის ექსპედიციის სეზონის მთავარი პრობლემა. 30 ივლისისათვის ადგილობრივი მუშების დახმარებით თხრილი გამზადებულ იქნა არქეოლოგიური სამუშაოების დასაწყებად. გასწორდა თხრილის კედლები, მოშორდა სარეველა ბალახი, გაიწმინდა კედლები (104) და (105) და უსარგებლო მიწა გადაწეულ იქნა B თხრილიდან მოშორებით.

წლეგანდელ სეზონში (28.07.06-26.08.05) B თხრილზე (თხრილის ხელმძღვანელი – პოლ ევერილი, თანაშემწე ნ.მურდულია.) სამუშაოები ორი მიმართულებით წარიმართა – გაგრძელდა წინა წლებში კედლების შიდა მხარეს გამოვლენილი ქრისტიანული სამაროვნის გათხრა და პარალელურად სამუშაოები წარმოებდა კედლების ჩრდილოეთით გაგრძელებულ მონაკვეთზე, სადაც თხრილის ჩრდილოეთ დაბოლოებაზე 2003 წელს გამოვლენილი იყო დანახშირებული ძელი აღმოსავლეთ-დასავლეთ მიმართულებით და თავიდანვე არსებობდა ეჭვი, რომ შესაძლებელია აქ რაიმე ნაგებობა ყოფილიყო.



ამდენად თხრილზე სამუშაოებს აწარმოებდა ორი ჯგუფი: ერთი კედლების შიგნით სამაროვანზე და მეორე თხრილის ჩრდილოეთ მონაკვეთზე, სადაც სავარა- უდოდ ნაგებობის ნაშთები მოიაზრებოდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სეზონის განმავლობაში დაფიქსირებულმა ნალექიანმა ამინდებმა, საგრძნობლად შეაფერხა ექსპედიციის მუშაობა, - წვიმების გამო დაიკარგა სამი დღე, გარდა ამისა თხრილზე შედეგად ატალახებული თხრილის

მუშაობისას დიდი დრო წაიღო წვიმების დაშრობამ და ხელმეორედ გაწმენდამ.

თხრილის ჩრდილოეთ მონაკვეთში პირველივე დღეებში გამოიკვეთა აღმოსავლეთ-დასავლეთ დამხრობის კედლის ნაშთი (381), რომელიც ზემოთ ნახსენები დანახშირებული ძეგლის გაყოფაზე გამოვლინდა. თხრილის ხელმძღვანელის პოლ ევერილის მიერ თავიდანვე გამოითქვა მოსაზრება, რომ ეს შესაძლებელია ყოფილიყო ნაგებობის სამხრეთი კედელი – ვინაიდან მისი ნაშთი თხრილის ჩრდილოეთ კიდესთან აღმოჩნდა, ხოლო სამხრეთით ჯერ-ჯერობით არავითარი ნაგებობის სტრუქტურა არ გამოჩენილა.



კედლის ნაშთი (381) და მოკირწყლული “ეზო” (397)

კედელი თხრილის მთელ სიგანეზე (7.5 მ) გამოვლინდა, ამიტომ დასაწყისი და დაბოლო- ება არ ჩანს, კედლის აღმოსავ- ლეთ მონაკვეთში ორი ქვა ამოვარდნილი და დაკარგულია, თუმცა კედლის საერთო სტრუქტურა, წყობა და სამშენებლო ტექნიკა მაინც იკითხება: საშენ მასალად გამოყენებულია დიდი ზომის (საშუალოდ 30-40 სმ) უფორმოდ გათლილი თეთრი კირქვა.

საფიქრებელია, რომ კედლის ნაშთი საძირკვლის დონემდეა დანგრეული. კედლის სრული პრეპარირება და შესწავლა 2005 წლის სეზონში ვერ მოესწრო, ამიტომ საბოლოო დასკვნები ნაგებობის სტრუქტურის და დანიშნულების შესახებ მისი მთლიანი გაწმენდვის შემდეგ გაკეთდება.

გამოვლენილი კედლის სამხრეთით გათხრების დაწყების დროს გამოვლინდა დიდი რაოდენობით დანახშირებული თიხა და ხე, ასევე ნამტვრევი ქვები, რაც გვაფიქრებინებდა, რომ ეს კედლის ჩამონგრეული ფენა

(326) უნდა ყოფილიყო. საინტერესოა ასევე ის რომ ამ ფენაში, მცირედ მაგრამ მაინც გამოვლინდა კერამიკული მასალა, რომელიც ძირითადად ელინისტური ხანის ადგილობრივი და იმპორტული სამზარეულო ჭურჭლის ფრაგმენტებით არის წარმოდგენილი. ეს ფენა ვრცელდება თხრილის ჩრდილოეთ მონაკვეთში გამოვლენილი კედლის სამხრეთით 6 მეტრზე, თხრილის მთელ სიგანეზე (7.5 მ) ფენის სისქე კედელთან ახლოს 0.20 მ-ია სამხრეთით კი 0.05 მ-მდე მცირდება.

მეტად საინტერესო მასალა გამოვლინდა დანახშირებული ფენის ადების შემდეგ. კედლის მთელ გაყოლებაზე სამხრეთით 7 მეტრზე გამოვლინდა მცირე ზომის ქვებით (50X30X40მმ) მოკირწყლული ფენა (397). საინტერესოა რომ ქვების ზომები ჩრდილოეთ ნაწილში ანუ კედელთან ახლოს უფრო მეტია ვიდრე სამხრეთით. წელს მოხერხდა ამ ფენის უმეტესი ნაწილის გაწმენდა, თუმცა მისი სრული შესწავლა მომავალ წელს უნდა გაგრძელდეს და საბოლოო დასკვნების გაკეთებაც შემდეგ იქნება შესაძლებელი. ამჟამად მხოლოდ ის შეიძლება ითქვას, რომ აღმოჩენილი კედლის ნაშთი ელინისტური ხანის ნაგებობის სამხრეთ კედელი უნდა იყოს, ხოლო მის სამხრეთით გამოვლენილი მოკირწყლული ფენა სავარაუდოდ შენობის წინა ეზოს (შესასვლელს) წარმოადგენდა.

ასევე საინტერესოა კედლის დასავლეთ ნაწილში გამოვლენილი სამხრეთ მხრიდან უშუალოდ კედელზე მიბჯენილი ორმო (388) (1.40X1.00მ), რომელიც შემოსახლვრული იყო მცირე ზომის ქვებით (10X30სმ). ეს ორმო ამოვსებული იყო ელინისტური ხანის ჭურჭლის ნატეხებით. პოლ ევერილის მიერ გამოითქვა მოსაზრება, რომ ორმო შესაძლოა ნაგვისთვის იყო განკუთვნილი(?).

კედლის ჩრდილოეთ მხარეს, იმ მცირე მონაკვეთზე, რომელიც თხრილის კიდემდე რჩება, გამოიკვეთა მოწითალო თიხანარევი ფენა (380), რომელიც შესაძლოა შენობის შიდა იატაკი იყოს.

აღმოჩენილი კედლის და მოკირწყლული ფენის გაწმენდვისას, გარდა მასობრივად გამოვლენილი კერამიკული ჭურჭლის ფრაგმენტებისა, ასევე აღმოჩნდა 1 სმ დიამეტრის ვერცხლის საყურე რგოლი (379), საყურე პირ გახსნილია და ჭრილში რომის ფორმა აქვს, მიუხედავად იმისა, საყურე მეტად სადაა და რაიმე სახის მნიშვნელოვანი სტილისტური მახასიათებლები არ გააჩნია. ნივთი გამოვლინდა ელინისტური ხანის ფენაში (326), ამდენად მისი დათარიღება იგივე ხანით შეძლება. მისი კოორდინატებია – 103.22/218, სიღრმე – 0.58 მ.

საყურე რგოლისგან დასავლეთით ორიოდ მეტრში თითქმის იგივე სიღრმეზე გამოვლინდა მეტად საინტერესო სასმისი (326), რომელიც როგორც სტილისტურად, ასევე კულტურული ფენის მიხედვით ელინისტური ხანით (IV-III სს.) თარიღდება. სასმისი თითქმის სრულად არის შენახული. ის რუხი შეფერილობისაა, არის განიერი და დაბალი, გაშლილი პირით. მისი კოორდინატებია – 100.85/218.65, სიღრმე – 0.60.

წლეგანდელ სეზონში მეტად საინტერესო შედეგები მოიტანა B თხრილის სამხრეთ მონაკვეთში, კედლების შიგნით, სამაროვანზე წარმოებულმა

გათხრებმა, სადაც 2002 წლიდან 2005 წლამდე 26 სამარხია გამოვლენილი, მათგან ხუთი წელს აღმოჩნდა.

პირველივე დღეებიდან მიწის თხელი ფენის (5 სმ) აღებისას, თხრილის სამხრეთ კიდესთან გამოვლინდა ადამიანის მარცხენა ბარძაყის ძვალი. სამარხის უმეტესი ნაწილი კი თხრილის სამხრეთი კიდის გარეთ იყო, ამიტომ მოგვიწია თხრილის 40 სმ-ით გაფართოება. სამარხი დასავლეთ-აღმოსავლეთ დამხრობისაა, თავით დასავლეთით. ჩონჩხი (386) წევს გაშოტილ მდგომარეობაში, ექსპედიციის ოსტეოლოგის დასკვნით ჩონჩხი ეკუთვნოდა 50-60 წლის მდედრს; სიმაღლე 162.226 სმ +/- 3.72 სმ.

აღნიშნული სამარხის გაწმენდისას, ჩონჩხის თავის ქალის დასავლეთით გამოჩნდა სხვა ჩონჩხის (383) მარცხენა ხელი მოხრილ მდგომარეობაში. აქვე უნდა ითქვას, რომ I ჩონჩხის (386) სამარხი ჩატრილია მეორე ჩონჩხის (383) სამარხით. ეს ჩონჩხიც დასავლეთ-აღმოსავლეთ დამხრობით ასვენია გაშოტილ მდგომარეობაში, თავით დასავლეთით. ოსტეოლოგის მონაცემებით სამარხი ეკუთვნოდა 40-50 წლის მდედრს, სიმაღლე 171.731 სმ +/- 4.24 სმ. ჩონჩხის მარჯვენა ბარძაყთან აღმოჩნდა 0.8 სმ ბრინჯაოს მონეტა (383), თუმცა ის არ იკითხება, მონეტის ზუსტი კოორდინატებია 101/199.9. სიღრმე - -2.25 მ

ორივე სამარხი, ისევე როგორც მთლიანად სამაროვანზე გამოვლენილი სამარხების სრული უმრავლესობა ქრისტიანულია, ამას ადასტურებს, როგორც ჩონჩხის დამხრობა, ისე, ინვენტარის უქონლობა და კულტურული ფენა, რომელიც ზოგადად ადრე ქრისტიანული ხანით თარიღდება (IV-VI სს).

როგორც აღინიშნა B თხრილზე გამოვლენილ სამაროვანზე დღემდე 26 სამარხია აღმოჩენილი, მათი სრული უმრავლესობა (23) ქრისტიანულია და დასავლეთ-აღმოსავლეთ დამხრობისაა. თუმცა გარდა ქრისტიანული სამარხებისა B თხრილზე აღმოჩენილია ჩრდილო-სამხრეთ დამხრობის სამი სამარხიც, რომლებიც სავარაუდოდ იმავე პერიოდს (IV-VI სს.) უნდა განეკუთვნებოდნენ, რომელსაც დანარჩენი 23 ქრისტიანული სამარხი. აღნიშნული სამი სამარხიდან ერთი 2002 წელს გამოვლინდა, დანარჩენი ორი კი წელს.

წლევანდელი სეზონის დაწყების პირველივე დღეებში, თხრილის სამხრეთ მონაკვეთზე, აღმოსავლეთ კედლის დასავლეთ მხარეს, კედლის ძირში აღმოჩნდა სამარხი (377), რომელიც სავარაუდოდ ჩვილ ბავშვს ეკუთვნოდა, რადგანაც ჩონჩხის ძვლების ზომები მეტად მცირეა, ხოლო სამარხი ჭრილის



(378) სიგრძე 50 სმ-ს არ სცილდება. მიცვალებული ესვენა ჩრდილო-სამხრეთ მიმართულებით, თავით ჩრდილოეთისკენ, გაშოტილ მდგომარეობაში.

წელს განხილული სამარხის (377) სამხრეთ გაყოლებაზე გამოვლინდა კიდევ ერთი ჩრდილო-სამხრეთ დამხრობის სამარხი (392), რომელიც ჩატრილი იყო აღმოსავლეთ კედლის ძირში. მიცვალებული ესვენა გაშოტილ

ჩონჩხი (392), ჩრდილო-სამხრეთ დამხრობის სამარხი

მდგომარეობაში, თავით ჩრდილოეთით. ჩონჩხი კარგად არის შენახული. თავის ქალა მთელია, ოსტეოლოგის მონაცემებით სამარხი ეკუთვნოდა 35-44 წლის, სავარაუდოდ მდებარეობითი სქესის ადამიანს. სიმაღლე - 160.36 სმ +/- 3.27 სმ. სამარხს ზემოდან ედო ორი დიდი ზომის ქვა, რომლებიც აღმოსავლეთ კედლის ქვედა რიგიდან იყო ჩამოწეული. ჯერ-ჯერობით ზუსტად არ დგინდება, რამ გამოიწვია ამ ორი ქვის კედლიდან ჩამოვარდნა – შესაძლოა ეს გამოწვეული იყო სამარხის გაჭრით, რაც მიანიშნებს იმაზე, რომ კედელი უფრო ადრეულია, ვიდრე სამარხი, სამარხი ფენის შემცველობა იდენტურია მთლიანად B თხრილის სამაროვანზე გამოვლენილ მასალებთან, ამდენად ეს სამარხიც ადრე შუა საუკუნეებით (IV-VI) უნდა დათარიღდეს. აქედან გამომდინარე აღმოსავლეთ კედლის დათარიღება IV-VI სს-ის წინა პერიოდით უნდა მოხდეს. თუმცა, არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, შესაძლებელია კედლის ქვედა რიგის აღნიშნული ორი ქვა თანამედროვე პერიოდში – თხრილის გახსნის შემდეგ დაედო სამარხს, ამ შემთხვევაში კედლის მოგვიანო პერიოდით დათარიღებაც შესაძლებელია.

საერთოდ უნდა აღინიშნოს რომ B თხრილის სამაროვანზე კულტურული ფენები არეულია და იქ გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა შეიცავს, როგორც ელინისტურ, ისე ადრე შუა საუკუნეების ხანის კერამიკას, რაც ართულებს სამაროვანის, და კედლის ზუსტ დათარიღებას.

წელს გამოვლენილი ყველა სამარხის ფენა ერთმანეთის იდენტურია – მუქი ნაცრისფერი თიხანარევი ლამიანი ნიადაგი შეიცავს მცირე ზომის (15-30 მმ) კირქვის ფრაგმენტებს, ფენები ძლიერ არეულია – გვხვდება როგორც ელინისტური, ისე ადრე შუა საუკუნეების ხანის კერამიკა.

განხილული ოთხი სამარხის გარდა წელს B თხრილის სამხრეთ მონაკვეთზე აღმოჩნდა კიდევ ერთი სამარხი, თუმცა დროის უქონლობის გამო, მისი გაწმენდა ვერ მოხერხდა. ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, რომ მიცვალებული ასვენია დასავლეთ-აღმოსავლეთ მიმართულებით, თავით დასავლეთით, ამ მონაცემების საფუძველზე უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სამარხიც ქრისტიანულია და B თხრილზე გამოვლენილ სამაროვანს ეკუთვნის.

თხრილის სამხრეთ მონაკვეთზე სამაროვანი ფენის (303) გათხრებისას მასიურად ამოდის კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტები, როგორც აღინიშნა ელინისტური და ადრე შუა საუკუნეების ხანის, გარდა მასიური კერამიკული მასალისა, წელს ამავე ფენაში, თხრილის დასავლეთ კიდეზე აღმოჩნდა ტყვიის სამაგრი (303), ასეთ სამაგრებს, როგორც წესი ძველ რომში მიცვალებულებს ატანდნენ საფლავეში და შიგნით წყევლას ან შელოცვას ურთავდნენ ხოლმე, შესაძლოა ამ ნივთშიც აღმოჩნდეს რაიმე სახის წარწერა. ტყვიის სამაგრი 7 სმ სიგრძისაა, მისი კოორდინატებია 100/203.2, სიღრმე -1.84 მ.

ამ უბანზე წელსაც გრძელდებოდა ე.წ. ”ეპიდემიური” სამაროვნის შესწავლა. პარალელურად ვიზრუნეთ თხრილის გაფართოებაზე ჩრდილოეთის მხრიდან. საბოლოოდ თხრილის პერიმეტრი სიგრძეში-20, ხოლო სიგანეში 7.80 სმ-ით განისაზღვრა. 17 ივლისს ნოქალაქევეში ჩასვლისას სამუშაო შეფერხებულ იქნა ცუდი ამინდის გამო, სწორედ ცუდი ამინდები გახდა 2004 წლის ექსპედიციის სეზონის მთავარი პრობლემა. 20 ივლისისათვის

ადგილობრივი მუშების დახმარებით თხრილი გამზ ადებულ იქნა არქეოლოგიური სამუშაოების დასაწყებად. გასწორდა თხრილის კედლები, მოშორდა სარეველა ბალახი, გაიწმინდა კედლები (104) და (105) და უსარგებლო მიწა გადაწეულ იქა თხრილიდან მოშორებით.

21 ივლისს მთელი თხრილი მოსწორდა რათა ოდნავი განსხვავებაც კი ფენაში შესამჩნევი ყოფილიყო. კედლით შემოფარგლული ადგილის ჩრდილოეთით, სადაც წინა წელს ადრებიზანტიური ხანის სამარხები საფუძვლიანად იქნა გამოკვლეული, აღმოჩნდა ყავისფერი ფენა (304), რომელიც შეიცავდა ბათქაშს და თიხას. როგორც აღმოჩნდა ეს ფენა გავდა (326)-ე ფენას, აქედან გაჩნდა ეჭვი, რომ ეს არის გვიან რომაული ოკუპაციების დროინდელი ფენა, რომელიც ფარავს მთლიან თხრილს, ეს შეიძლება ადასტურებდეს ამ ადგილას ხის შენობების არსებობას.

როგორც აღმოჩნდა თხრილის ჩრდილო-დასავლეთით კუთხეში იყო მხოლოდ (326)-ე ფენა. მის აღმოსავლეთით და სამხრეთით იყო კონტექსტი (106), რომელიც შესაძლოა წარმოადგენდა სამაროვნის ნიადაგის გაგრძელებას კედლის იქით, რაც (104)-ე და (105)-ე კონტექსტებს ადრებიზანტიურ სამარხებზე უფრო გვიანდელს ხდის.

თხრილის მთლიანი პერიმეტრის მოსწორების შემდეგ გამოჩნდა 1 მეტრის სიგანის ღია ფერის ზოლი, რომელიც ჩრდილო-სამხრეთის კედლის (104)-კონტექსტის ჩრდილოეთით გრძელდებოდა. სავარაუდოდ ეს უკვე გასინჯული კედლის პირველად ნაწილს წარმოადგენდა. თუ ეს ასე იყო, მაშინ ჩვენ გვეძლეოდა შესაძლებლობა, რომ ზუსტად დაგვედგინა ჩრდილო-სამხრეთი კედლის აშენების თარიღი. როგორც შემდგომმა ძიებებმა გვიჩვენა ფერდობის კონტურები არ იყო სათანადოდ დაცული და რომ ღია ფერის ადგილი წარმოადგენს ფერდობის ჩამონატყვს. ეს შეიძლება ხსნიდეს მიმართებას ჩრდილო-სამხრეთ კედელთან (104), რომელიც აშკარად ხელოვნურ ქედზე იყო აგებული.

2003 წელს თხრილის ჩრდილო-დასავლეთით აღმოჩენილ იქნა დამწვარი ძელი და ხის ნახშირი. ოთხი მეტრის მოშორებით, ჩრდილო-აღმოსავლეთით გამოჩნდა სუფთა, მუქი ყავისფერი თიხნარი ფენა კირქვის დიდი ბლოკებით ქვემოდან. ეს ყველფერი კარგად აგებულ ხის სტრუქტურას წარმოადგენდა, რაც გვიანანტიკური-ადრეშუასაუკუნეების ხანის თიხით ნაღეს ხის ნაგებობებს წააგავს. ვფიქრობთ 2005 წლისათვის შესაძლებელი უნდა იყოს ამ სტრუქტურის თანამიმდევრული გამოკვლევა.

წლევნდელი ექსპედიციის დიდი დრო დაიხარჯა (326)-ე ფენის, ანუ სამაროვნის გამოკვლევაზე. მოხალისეების დიდი ნაწილი ბეჯითად მუშაობდა, რათა ამისათვის მიეღწიათ. კედლით შემოფარგლულ ადგილას პრიორიტეტად კვლავ სამარხების გამოკვლევა რჩებოდა. 2004 წლის ექსპედიციის დროს 2 სამარხი აღმოჩენილ იქნა კედლის ჩრდილოეთით, ხოლო 9 კედლით შემოღობილ ადგილას. ბევრი მათგანი დაშლილი იყო რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ეს სამაროვანი რაიმე ეპიდემიის ან კონფლიქტის დროს არსებობდა.

B თხრილში დასტურდება სქელი, ნატრიალები ფენა (101) (102) (103) (106), რომელშიც თავმოყრილია თანამედროვე, ბიზანტიური და ელინისტური ხანის ნაკეთობები. იგივე ფენა 2002 წელს გათხრილ იქნა კედლის სამხრეთით,

მაგრამ მაშინვე გადაწყვეტილ იქნა, რომ ეს იყო არასტრატეგიული არქეოლოგიური მასალა.

არსებობს ძველი ფოტო, რომელიც გვიჩვენებს ამ სექტორს 60-70-იან წლებში. როგორც ვიცით დრ. ა.მ.შნაიდერმა ფერდობზე 1930-31 წლებში გამოიკვლია ერთ-ერთი კოშკი და მის მიერ შედგენილ გეგმაზე გარკვევით ჩანს ამ ეტაპზე ჩვენთვის საინტერესო კედლები (104) და (105) მიწის ზემოთ. შნაიდერის მიერ ხეების მოჭრამ, როგორც ჩანს შემდგომში კედლების მიწით დაფარვა გამოიწვია.

საანგარიშო წლის ბოლოს ექსპედიციამ აღნიშნული თხრილი დროებით ცელოფნით დააკონსერვა და სამუშაოები 2005 წელს კვლავ გაგრძელდება.

ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

როგორც ცნობილია ნოქალაქევის ნაქალაქართან ფუნქციონირებს არქეოლოგიური მუზეუმი, რომელიც მისი დამაარსებლის, პროფ. პარმენ ზაქარაიას სახელს ატარებს. 1978 წელს დაარსებული მუზეუმი (სოფლის საბჭოს ყოფილ შენობაში) 1988 წელს ახალი ექსპოზიციითა და გადაკეთებული შენობით წარსდგა მეტად მაღალი დონის აუდიტორიის წინაშე (მაშინდელი ცკ-ს მდივნები და მოწვეული სტუმრები). ზუსტად ორი წლის შემდეგ ქვეყანაში განვითარებული უარყოფითი პოლიტიკური პროცესების შედეგად მთლიანად მოიშალა ქვეყნის და შესაბამისად სამუზეუმო ინფრასტრუქტურები. ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში ამორტიზებული გახდა ნოქალაქევის მუზეუმის გადახურვის წყალშემკრები სისტემები, რამაც კარ-ფანჯრების, კედლების საგრძნობი დაზიანება გამოიწვია. ელექტროგაყვანილობებსა და განათების არმატურების საექსპერტო-სადიაგნოსტიკო სამუშაოებმა გვიჩვენა, რომ სისტემა მთლიანად ამორტიზირებული გამხდარიყო მას შემდეგ რაც 90-იანი წლების დასაწყისში, მავანს, მაღალი ძაბვის კაბელში (რომელიც მუზეუმის I სართულის ქვის იატაკის ქვეშ არის მოწყობილი) ლურსმანი გაუყვია. (ჩვენის აზრით ეს იყო გამიზნული დივერსია და გაკეთებული მის მიერ, ვინც ელექტრო გაყვანილობების ლოკალურ სისტემებში ერკვეოდა). მწყობრიდან იყო გამოსული ელექტრო გამანაწილებელი ფარები, მაღალი ძაბვის დამცველები, კედის შიდა გაყვანილობები, განათების არმატურები (ერთადერთი გადარჩენილი დახვდა I-დან II სართულზე ამავე მაღალი ძაბვის სადენი). აღწერილი პრობლემის გამო მთლიანად შესაცვლელი გახდა, როგორც მაღალი ძაბვის კაბელები, ასევე ლოკალური გამანაწილებელი კოლოფები და სადენები. ფაქტიურად ყველა ვიტრინაში დამონტაჟდა განათების ახალი სისტემა.

ახალი სადენების ჩასალაგებლად კედლების დატეხვამ გვიბიძგა მუზეუმის I სართულის ნაწილობრივი გადაკეთებისაკენ. I სართულზე ორი დამხმარე სათავსის გაერთიანებამ საშუალება მოგვცა, მიგვეწყო ერთი დიდი და ნათელი ოთახი საზაფხულო სკოლების მოსწავლეებისათვის. ოთახი

(მცირე ზომის დარბაზი) მომავალში მოემსახურება კომპიუტერულ სწავლებასა და საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასაც. 2006 წლის გაზაფხულზე ჩვენ ვიწყებთ აღნიშნული ოთახის აღჭურვას. (ტექნიკური დახმარების I ეტაპი ჩვენი ბრიტანელი კოლეგების დახმარებით უკვე დაგასრულეთ). ელექტრო მომარაგების სისტემა მთლიანად იქნა გამოცვლილი მუზეუმის ადმინისტრაციული შენობის I და II სართულებზე: ოთახებში, ვესტიბიულებში, ვიტრინებში, სტენდებზე, მაგიდა-ვიტრინებზე და სხვა.

პარალელურ რეჟიმში მიზიდულ იქნა ხის მასალა და გადახურვისათვის საჭირო სხვა მასალები. მუზეუმის შენობას 300 მ² ბრტყელი გადახურვის ჭერი გააჩნია. რეაბილიტაციის შემდგომ ჩვენ ფორმა შევინარჩუნეთ, მაგრამ მნიშვნელოვნად გაეზარდეთ დახრილობის კუთხე, რათა წვიმამ და თოვლმა მომავალში პრობლემები არ შეუქმნას შენობას.

წყალშემკრები სისტემები, მთლიანად თანამედროვე პლასტმასის ნაკეთობებით შევცვალეთ. (ნესტიან გარემოში ვფიქრობთ ეს უკანასკნელი უფრო მედეგი უნდა იყოს.) ხის კონსტრუქციების თითქმის სრულად შეცვლის შემდგომ მოვახდინეთ მთელი ფართის დახურვა თანამედროვე საშუალებებით (ოფიციალური გარანტიით 30-40 წელი).

გადახურვისა და ელექტრო სისტემების მოწესრიგების შემდგომ დავიწყეთ მუზეუმის I სართულის ინტერიერის მთლიანი შეცვლა. გათეთრდა და შეიღება საფონდო და სამუშაო ოთახები, მთავარი ვესტიბიული და დერეფნები, შეკეთდა გისოსები, ლაქით დაიფარა საპარადო კარი და II სართულზე ამავე ხის კიბე. მთლიანად დასრულდა შენობის შემინვის პროცესი საგამოფენო დარბაზის ზოგიერთი ვიტრინის მინებთან ერთად. ასევე შეიმინა და მთლიანად შეიცვალა საფონდო ოთახების ფანჯრები ჩარჩოებთან ერთად.